ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2025 წლის 7 ნოემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №11 დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge. 23/01/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016724) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხანდაზმულთა, მარტოხელა ხანდაზმულთა შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამის კოდი – 06 02 06);“

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე პირთა (შშმ პირები, მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულები და ა.შ.) საკვები პროდუქტებით წლის განმავლობაში ერთჯერადად დახმარებას.

დახმარების მისაღებად შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი მერიაში წარმოადგენს შუამდგომლობას თანდართული ბენეფიციართა სიით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა წოწერია**